"ვამტკიცებ"

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის

პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე

"11" ---------- 2019 წ.

2019 წლის საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა

17 - 20 დეკემბერი 2019 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **მიზანი და ამოცანები:**
   - საქართველოს რეგიონებში ჭადრაკის შემდგომი პოპულარიზაცია.
   - საქართველოს უძლიერესი კლუბების გამოვლენა.

2. **სისტემა და კვალიფიკაცია:**
   - ჩემპიონატი ტარდება ფიდეს წესებით, ოლიმპიური სისტემით;
   - ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: 2019 წლის საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის პირველი ლიგის აღმოსავლეთის ზონაში პირველ ადგილზე გასული გუნდი და დასავლეთის ზონაში მეორე ადგილზე გასული გუნდი. ხოლო დასავლეთის ზონაში პირველ ადგილზე გასული გუნდი კი აღმოსავლეთის ზონაში მეორე ადგილზე გასულ გუნდს;
   - ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში;
   - ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან მე-3 ადგილისათვის;
   - მატჩი შედგება 2 პარტიისაგან (თეთრები, შავები);
   - დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

3. **დროის კონტროლი:**
   ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 50 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.

4. **მონაწილენი:**
   - ჩემპიონატში მონაწილეობენ საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის 1-ლი ლიგის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში I - II ადგილებზე გასული გუნდები.
   - გუნდები უნდა იყოს დაკომპლექტებული 2019 წლის საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის პირველ ლიგაში წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისად.

   გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება 8 მონაწილით:
   I-II დაფა - ღია (ნებისმიერი მოჭადრაკე);
   III, IV დაფა - 16 წლამდე (დაბადებულნი 2003 წლის 1 იანვრის შემდეგ);
   V, VI დაფა - 12 წლამდე (დაბადებულნი 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ);
   VII, VIII დაფა - 10 წლამდე (დაბადებულნი 2009 წლის 1 იანვრის შემდეგ).

5. **რეგისტრაცია:**
   - ნახევარფინალური მატჩებისათვის შემადგენლობა კლუბებმა უნდა წარმოადგინონ 17 დეკემბრის 20:00 საათამდე;
   - ფინალური მატჩებისათვის შემადგენლობა კლუბებმა უნდა წარმოადგინონ 18 დეკემბრის 20:00 საათამდე;
   - მატჩისთვის გუნდის განაცხადი უნდა იქნეს წარმოდგენილი ტურნირის დირექტორთან (a.arsenidze1973@gmail.com) . განაცხადის წარმოუდგენლობის შემთხვევაში კლუბი ითამაშებს ძირითადი სასტარტო შემადგენლობით.

6. **სამივლინებო ხარჯები:**
   საქართველოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ კლუბები ან სხვა მიმავლინებელი ორგანიზაციები.

7. **გამარჯვებულთა გამოვლენა, თაი – ბრეიქი:**
მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში:
ა) გამარჯვებული გუნდი გამოვლინდება ქულათა საერთო რაოდენობის მიხედვით.
ბ) დაინიშნება დამატებითი მატჩები ელვისებურ ჭადრაკში პირველ გამარჯვებულ მატჩამდე - თითოეულს მონაწილეს 3 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 2 წამის დამატებით.

8. **ტურნირის განრიგი:**

	რიცხვი	**დრო (I ტური)**	**დრო (II ტური)**
ჩამოსვლის დღე	17 დეკემბერი		
1/2 ფინალი	18 დეკემბერი	12:00	15:00
ფინალი III ადგილისთვის	19 დეკემბერი	12:00	15:00
დახურვა	19 დეკემბერი	18:00	
გამგზავრების დღე	20 დეკემბერი		

9. **დაჯილდოება: საპრიზო ფონდი 14000 ლარი.**
I ადგილზე გასული გუნდი დაჯილდოვდება გარდამავალი თასით.
I – III ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან მედლებითა და დიპლომებით.
I - IV ადგილზე გასული კლუბები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით; I ადგილი - 5000 ლარი, II ადგილი - 4000 ლარი, III ადგილი - 3000 ლარი, IV ადგილი - 2000 ლარი.

10. **საერთო წესები:**
- ტურის დაწყებიდან 50 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- გუნდის ტურნირიდან გათიშვის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნება კლუბის მიერ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.
- ნებისმიერ მონაწილე კლუბს უფლება აქვს მატჩის დამთავრებიდან 30 წუთის განმავლობაში გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.
  კლუბი ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი მარგალიტა თანდაშვილი.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - ალექსანდრე არსენიძე:
ელ.ფოსტა: a.arsenidze1973@gmail.com მობ: 599-92-96-87.